CPV 79540000

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/62

(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 29 ივნისი 2017 წ.

ერთის მხრივ სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული “შემსყიდველად”) წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ მოქალაქე ნატო ჭლიკაძე პ/ნ 01008041044 (შემდგომში წოდებული “მიმწოდებლად”), ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს რექტორის აპარატის უფროსის ნინო რუხაძის მოხსენებითი ბარათი კანცელარიის #MES 4 17 00755325 28.06.2017წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თსსუ-ში ნობელის პრემიის ლაურეატის, პროფ. აარონ ჩიხანოვერის ვიზიტთან დაკავშირებით, სათარჯიმნო (სინქრონული) მომსახურება.

2.მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მომსახურების გაწევის თარიღია 2017 წლის 30 ივნისი.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 312,50 (სამასთორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს საშემოსავლო გადასახადს, რომელსაც აკავებს და იხდის შემსყიდველი.

2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.1.2. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.2.1. პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.2.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს რექტორის აპარატის უფროსი ნ. რუხაძე.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 33 საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22 ა/ა GE24 NB 0330100200165022	მოქალაქე ნატო ჭლიკაძე ქ. თბილისი, კოსტავას ქ.77 პირადი ნომერი 01008041044 (15ID 95691) თი ბი სი ბანკი, კოდი TBCBGE22 ა/ა GE25 TB 790 424 5060600002

თსსუ-ს კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი
ალექსანდრე ბუაჩიძე

მოქალაქე ნატო ჭლიკაძე